ტირანას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონფერენცია

29-30 მაისი

ტირანას კომუნიკეს დანართი 2

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესები

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესები შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი ადგენს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო ჩარჩოს. ამ წესების ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება მინისტრების გადაწყვეტილებას. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესები ძალაში შევა მინისტრების მიერ მიღებისთანავე.

მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის და მისი ქვესტრუქტურების პროცედურულ წესებს. ის შეიძლება დაექვემდებაროს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, თუ ეს ცვლილებები სრულ შესაბამისობაში იქნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესებთან (ნაწილი 1). წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ცვლილებებისთვის საჭირო იქნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების ცვლილება და მინისტრების მიერ დამტკიცება. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესებს ენიჭება უპირატესობა ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის პროცედურული წესების მიმართ.

ეს დოკუმენტი მოიცავს ამ პირველ ნაწილს, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურულ წესებს, რომლითაც იმართება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე, როგორც მიღებულია ტირანის მინისტრთა კონფერენციაზე, 2024 წლის 30 მაისს.

მე-2 ნაწილი (ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის პროცედურული წესები) ექვემდებარება ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგიუფის მიერ დამტკიცებას, 2024 წლის ტირანას მინისტრთა კონფერენციის შემდეგ.

ნაწილი 1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესები

ჩვენ, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრი სახელმწიფოების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, რომლებიც ვმართავთ შეხვედრას ტირანაში 2024 წლის 29 და 30 მაისს;

ვითვალისწინებთ რა, რომ არსებობის 25 წლის განმავლობაში, ბოლონიის პროცესმა და უმაღლესი განათლების ევროპულმა სივრცემ უზრუნველყო კოორდინირებული პოლიტიკის რეფორმის წარმატებული და უნიკალური მოდელი, რომელიც რეალიზდება სახელმწიფო ხელისუფლების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პერსონალის თანამშრომლობით, თითოეული მათგანის როლისა და პრეროგატივების პატივისცემით;

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ რა ჩვენ მუდმივ ერთგულებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისადმი, თანამშრომლობისა და კოორდინაციის გზით უმაღლესი განათლების რეფორმისა და პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით ევროპის მასშტაბით, წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით საჯარო ხელისუფლებების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობით და ასევე საერთაშორისო ინსტიტუტებთან და უმაღლესი განათლების სფეროში კომპეტენტურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ რა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიზანია უმაღლესი განათლების ხარისხის, ასევე აკადემიური მობილობისა და თანამშრომლობის გაზრდა;

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ რა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიზანია გააძლიეროს უმაღლესი განათლების როლი და მისი წვლილი ჩვენ საზოგადოებებში, გახადოს ისინი უფრო ინკლუზიური, მდგრადი და გამძლე, შეინარჩუნოს და გააძლიეროს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კულტურა, უზრუნველყოს მშვიდობიანი ურთირთიერთობები და ნდობა ევროპაში და გლობალურ პარტნიორებთან;

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ რა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე საკუთარი პოლიტიკითა და პრაქტიკით ხელს უწყობს და აძლიერებს უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ ღირებულებებს: აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ინსტიტუციურ ავტონომიას, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას უმაღლესი განათლების მართვაში, საჯარო პასუხისმგებლობას უმაღლეს განათლებაზე და უმაღლესი განათლების პასუხისმგებლობას საზოგადეობის მიმართ;

ვითვალისწინებთ რა, რომ განვითარების მიმდინარე ეტაპზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე საჭიროებს გაფართოებულ ჩარჩოს, რათა შეასრულოს საკუთარი ამბიციური მისია და მიაღწიოს იმ ცვლილებებს, რომლებსაც ჩვენი უმაღლესი განათლების სექტორები, ასევე ჩვენი საზოგადოებები მოითხოვს;

ვიღებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ამ პროცედურულ წესებს. მისი დებულებები ვრცელდება მინისტრთა კონფერენციებზე, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფზე და მის სამუშაო სტრუქტურებზე, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნოზე.

I. სახელმძღვანელო პრინციპები

I.1 ევროპულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროცესი

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე არის ბოლონიის პროცესზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი სამთავრობათაშორისო პროცესი, რომლის მეშვეობითაც მისი წევრები და კონსულტანტი წევრები ერთობლივად ავითარებენ პოლიტიკას და რბილ საკანონმდებლო ვალდებულებებს. ისინი მიიღება მისი წევრი ქვეყნების კომპეტენტური საჯარო ორგანოების მიერ და ხორციელდება თითოეულ საგანმანათლებლო სისტემაში, უმაღლესი განათლების საზოგადოების წარმომადგენლებთან, დაწესებულებებთან, სტუდენტებთან და პერსონალთან თანამშრომლობითა და კონსულტაციით. ეს პროცედურული წესები წარმართავს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საქმიანობას დადგენილი პოლიტიკის, პროცესებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

I.2 პოლიტიკა და ინსტრუმენტები

მინისტრები განსაზღვრავენ პოლიტიკის სფეროებს და შეიმუშავებენ ღონისძიებებს დეკლარაციებისა და კომუნიკეების მეშვეობით, რომლებიც მიიღება მათ რეგულარულ კონფერენციებზე ან ნებისმიერ სხვა გარემოში, რომელიც მათ შეიძლება გადაწყვეტილების მისაღებად მიზანშეწონილად ჩათვალონ. მათ შეუძლიათ შექმნან ჩარჩოები, სტანდარტები, სახელმძღვანელო მითითებები და სხვა მექანიზმები ევროპულ დონეზე კოორდინაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გზით შემდგომი წონსვლისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

I.3 ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი

მინისტრთა კონფერენციებს შორის ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი, სადაც წარმოდგენილია ყველა წევრი და საკონსულტაციო წევრი, შეიმუშავებს, იღებს და ახორციელებს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამუშაო პროგრამას მინისტრების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

I.4 თანათავმჯდომარეები და ვიცეთავმჯდომარეები

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს და მის სტრუქტურებს ხელმძღვანელობს ორი თანათავმჯდომარე, რომლებიც ინიშნებიან ექვსი თვის ვადით, ჩვეულებრივ 1 იანვრიდან 30 ივნისამდე და 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ერთი თანათავმჯდომარე

წარმოადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, მეორე - უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მონაწილე ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს.

ევროკავშირის წევრების თანათავმჯდომარეობის რიგითობა, როგორც წესი, შეესაბამება ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტების რიგითობას, ხოლო ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების თანათავმჯდომარეების რიგითობა ჩვეულებრივ მიჰყვება სახელმწიფოების სახელების რიგითობას ინგლისური ანბანური თანმიმდევრობით. თუმცა, ორივე შემთხვევაში, ეს რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის მიერ შესაბამის სახელმწიფოებთან შეთანხმებით.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ვიცეთავმჯდომარე წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც უმასპინძლებს მომავალ მინისტრთა კონფერენციას და იკავებს თანამდებობას მინისტრთა ორ კონფერენციას შორის პერიოდში და შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მინისტრთა კონფერენციის განმავლობაში.

I.5 ეთიკა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარება, საქმიანობა და მართვა უნდა განხორციელდეს მისი ფუნდამენტური ღირებულებების შესაბამისად და მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვით. ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი შეიმუშავებს ეთიკის კონკრეტულ კოდექსს საკუთარი საქმიანობისთვის, მისი სამუშაო სტრუქტურებისა და სამდივნოსთვის.

I.6 შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელება

ყველა წევრი იღებს ვალდებულებას, რომ იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა, მათი შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემების კონტექსტში, მინისტრების მიერ მიღებული პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების განხორციელების მიზნით.

II. წევრობა

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ჰყავს წევრები და საკონსულტაციო წევრები, როგორც განსაზღვრულია პირველი დანართით.

II.1 წევრები

ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, რომ გაწევრიანდნენ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, იმ პირობით, რომ ისინი განაცხადებენ მზადყოფნას, რომ განახორციელონ და შეასრულონ ბოლონიის პროცესის

მიზნები და ვალდებულებები საკუთარ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებში[1]. ევროკომისია თანაბრად არის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრი.

II.2 საკონსულტაციო წევრები

ევროპული დონის წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი და ვალდებულება უმაღლესი განათლების მიმართ და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც კომპეტენტური არიან უმაღლესი განათლების პოლიტიკაში ევროპულ დონეზე, უფლება აქვთ მიიღონ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საკონსულტაციო წევრის სტატუსი.

II.3 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორები

ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს შეუძლია, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საკონსულტაციო წევრობის კრიტერიუმებს, მიანიჭოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორების სტატუსი. ისინი მიწვეული იქნებიან მინისტრთა კონფერენციებზე და შეიძლება მოწვეული იყვნენ ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის შეხვედრებზე, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ჯგუფის პროცედურული წესებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორის სტატუსის მინიჭების შესახებ ეცნობება მინისტრებს და გათვალისწინებული იქნება ამ მე-2 დანართში, სადაც ჩამოთვლილია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორები.

II.4 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR) დაფუძნდა ბოლონიის პროცესის ფარგლებში. მისი მიზანია, რომ შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის იმ სააგენტოების რეესტრი, რომლებიც მოქმედებენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (კვლევის ევროპული სივრცის) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის საქმიანობაში და მის სტრუქტურებში ხმის უფლების გარეშე.

III. შეერთება, გასვლა და გარიცხვა

III.1 შეერთება

მინისტრებს აქვთ ექსკლუზიური კომპეტენცია, რომ მიიღონ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ახალი წევრები და საკონსულტაციო წევრები, როგორც წესი,

[1] [1] Cf ბერლინის კომუნიკე.

მინისტრთა რეგულარულ კონფერენციაზე. წევრობისა და საკონსულტაციო წევრობის შესახებ განაცხადები წარედგინება ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს და განიხილება ამ ჯგუფის პროცედურული წესების დებულებების შესაბამისად.

ნებისმიერ წევრს, საკონსულტაციო წევრს ან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორს შეუძლია დატოვოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თანათავმჯდომარეებისთვის წერილობითი შეტყობინებით, რომელიც სათანადო წესით ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და გაეგზავნოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნოს. გასვლა ძალაში შევა სამდივნოს მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ.

III.2 შეჩერება და გარიცხვა

მინისტრებს ან ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს შეუძლია გადაწყვიტოს წევრის ან საკონსულტაციო წევრის სტატუსის შეჩერება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ზოგიერთ ან ყველა საქმიანობაში, თუ ეს წევრი ან საკონსულტაციო წევრი ახორციელებს პოლიტიკას ან ქმედებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ვალდებულებებს, წარმოადგენს მისი ღირებულებების მნიშვნელოვან დარღვევას ან აქვს აშკარად საჯაროდ გამოხატული ასეთი განზრახვა. მინისტრებს აქვთ ექსკლუზიური კომპეტენცია, გარიცხონ წევრი ან საკონსულტაციო წევრი. იმავე კრიტერიუმებით, ბოლონიის პროცესის კონტროლი ჯგუფს შეუძლია, რომ შეაჩეროს ან შეწყვიტოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორის სტატუსი.

IV. მმართველი ორგანოები

IV.1 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მმართველი ორგანოები

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ჰყავს შემდეგი მმართველი ორგანოები: მინისტრთა კონფერენცია; ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი საკუთარი გამგეობით, ორი თანათავმჯდომარე და ვიცეთავმჯდომარე.

IV.2 მინისტრთა კონფერენცია

ფუნქცია და შემადგენლობა

მინისტრთა კონფერენცია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა. იგი შედგება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრი სახელმწიფოების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრების ან მათი წარმომადგენლების, ევროკომისიის უმაღლესი განათლების პოლიტიკაში კომპეტენტური უმაღლესი რანგის წარმომადგენლებისა და საკონსულტაციო წევრებისგან.

ქვეყნების/საგანმანათლებლო სისტემების წარმომადგენლობით დელეგაციაში ასევე შედიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიდერი და სტუდენტების დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენელი.

პროცესი და განრიგი

მინისტრთა კონფერენცია იკრიბება რეგულარულ სესიაზე მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ და შეძლებისდაგვარად ფიზიკური დასწრებით. რიგგარეშე შეხვედრები იმართება ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თანათავმჯდომარეების გადაწყვეტილებით ან მინისტრების, ევროკომისიის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და საკონსულტაციო წევრების არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით.

კომპეტენციები და ამოცანები

მინისტრთა კონფერენცია ადგენს საკუთარ დღის წესრიგს და იღებს გადაწყვეტილებებს საჭიროებისამებრ. მას აქვს ექსკლუზიური კომპეტენცია შემდეგ საკითხებზე:

- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- დეკლარაციებისა და კომუნიკეების მიღება;
- სტანდარტების, სახელმძღვანელო მითითებებისა და სხვა ინსტრუმენტების მიღება, რომლებიც ოფიციალურად არის შეთანხმებული და, შესაბამისად, სავალდებულოა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისა და მისი წევრებისთვის;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრებისა და საკონსულტაციო წევრების მიღება ან გარიცხვა;
- გადაწყვეტილება მინისტერიალის კონფერენციებისა და გლობალური პოლიტიკის ფორუმის მასპინძლობისა და ადგილის შესახებ;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების ნებისმიერი მოდიფიკაცია.

IV.3 ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი

ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი ზედამხედველობს და ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის განვითარებას მინისტრთა კონფერენციებს შორის, უზრუნველყოფს მინისტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, შეიმუშავებს სამუშაო პროგრამას და ამზადებს საკითხებს მინისტრების მიერ განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის. იგი შედგება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრების და საკონსულტაციო წევრების სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლებისგან, რომლებიც კომპეტენტური არიან უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში. ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი, მისი გამგეობა,

თანათავმჯდომარეები და ვიცეთავმჯდომარე, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნო და მისი სხვა სტრუქტურები მუშაობენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების და ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის მიერ მიღებული ჯგუფის პროცედურული წესების შესაბამისად.

გამგეობა არის ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც ხელს უწყობს მის საქმიანობას, მათ შორის, შეხვედრების მომზადებას, ზრდის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მართვის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის უწყვეტობას. გამგეობის პასუხისმგებლობა მოიცავს სამუშაო პროგრამის ეფექტიანად განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგს.

გამგეობის წევრები არიან ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის დღევანდელი, ყოფილი და მომავალი თანათავმჯდომარეები, ჯგუფის ვიცეთავმჯდომარე, ევროკომისია, ევროპის საბჭო, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია, ევროპის სტუდენტთა კავშირი და უმაღლესი განათლების ევროპული ინსტიტუტების ასოციაცია. ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თითოეული სამუშაო სტრუქტურის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე, შესაბამისი პერიოდის სამუშაო გეგმის მიხედვით, მიიწვევა გამგეობის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის გარეშე.

IV.4 სამუშაო ენა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამუშაო ენა არის ინგლისური. მინისტრთა კონფერენციის მასპინძელს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, დაუშვას სხვა ენების გამოყენება.

V. გადაწყვეტილების მიღება

V.1 კონსენსუსი

ყველა დონეზე, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით.

V.2 კენჭისყრა

გადაწყვეტილებები მიიღება ძირითადად კონსენსუსით, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში, ძირითადად პროცედურულ საკითხებზე, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა შეიძლება განსაზღვრონ გადაწყვეტილების მიღება კენჭისყრით. ხმის უფლება ასეთ შემთხვევაში აქვთ მხოლოდ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრებს. თითოეულ წევრს აქვს ორი ხმა და ის თანათავმჯდომარეებს აცნობებს, ვინ მისცემს ხმებს მისი სახელით. დაუსწრებლად (მინდობილობით) ხმის მიცემა არ შეიძლება. თუ დელეგაცია შედგება ერთზე მეტი კანონიერი წევრისგან, ერთ-ერთ მათგანს

შეუძლია ხმის მიცემა მეორის სახელით, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი პირდაპირ აძლევს მას ამის უფლებას თანათავმჯდომარეებისთვის შეტყობინებით.

ფიზიკურ და ვირტუალურ შეხვედრებზე კენჭისყრა ხორციელდება საჯაროდ (თუ არცერთი დელეგაცია არ ითხოვს ფარულ კენჭისყრას), სათანადო კონტროლით, რაც უზრუნველყოფს კენჭისყრაში მხოლოდ ხმის მიცემის უფლების მქონე პირების მონაწილეობას. როდესაც ფიზიკური დასწრებით ხმის მიცემა შეუძლებელია, ხმის მიცემა შესაძლებელია კორესპონდენციით (წერილი, გზავნილი ელექტრონული ფოსტით ან სხვა ელექტრონული საშუალებით), რასაც ორგანიზებას უწევს სამდივნო. ასეთ შემთხვევაში ხმის მიცემა ფარული კენჭისყრით არ შეიძლება.

V.3 კენჭისყრის რეჟიმი

გამონაკლის შემთხვევებში და როდესაც ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თანათავმჯდომარეების ძალისხმევის მიუხედავად კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელია, გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება უფლებამოსილი ხმების უმრავლესობით. შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მიღებული ხმების ორი მესამედი:

- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პრიორიტეტების დამტკიცება;
- სტანდარტების, სახელმძღვანელო მითითებების ინსტრუმენტებისა და მიზნების მიღება;
- წევრების ან საკონსულტაციო წევრების მიღება, მათი სტატუსის შეჩერება და გარიცხვა;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების ცვლილებები.

კომუნიკეს მიღებაზე კენჭისყრა არ ხდება.

ხმის უფლების მქონე წევრთა ორ მესამედი შეადგენს კვორუმს. თუ კვორუმი არ შედგება, კენჭისყრა გაიმართება მომდევნო ჩვეულებრივ სხდომაზე ან, თუ საჭიროა საკითხის უფრო ადრე გადაწყვეტა, რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც ჩატარდება ფიზიკური დასწრებით ან ვირტუალურად, რომელიც დაინიშნება შეტყობინებიდან მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში, ან მიმოწერით. ასეთი შემთხვევისთვის კვორუმი განსაზღვრული არ არის.

VI. გლობალური პოლიტიკის ფორუმი

თავისი საქმიანობის განმავლობაში, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფი ცდილობს დაამყაროს დიალოგი სხვა რეგიონების პარტნიორებთან პოლიტიკისა და საერთო ინტერესის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ორგანიზებულია გლობალური პოლიტიკის ფორუმი, როგორც წესი, მინისტრთა კონფერენციებთან ერთად, სადაც მიწვეული არიან მთავრობების და საერთაშორისო

ორგანიზაციების წარმომადგენლები. საერთაშორისო პარტნიორები ჩართული უნდა იყვნენ ფორუმის და იმ განცხადებების მომზადებაში, რომლებიც ფორუმმა უნდა მიიღოს. მიწვევები უნდა შეთანხმდეს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფთან, რომელიც კონსულტაციებს გაივლის მინისტრთა კონფერენციის მასპინძელთან.

VII. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნო

სამდივნო მინისტრთა კონფერენციას, ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფს, მის გამგეობას, თავმჯდომარეებსა და სამუშაო სტრუქტურებს უწევს ნეიტრალურ, ადმინისტრაციულ და საოპერაციო მხარდაჭერას. ის მოქმედებს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის უფლებამოსილებით, სრულად ანგარიშვალდებულია მის წინაშე და დამოუკიდებელია იმ ქვეყნისა და ორგანიზაციისგან, სადაც ის არის დაფუძნებული.

სამდივნო სათანადოდ უნდა აღიჭურვოს პერსონალით და რესურსებით. ის უნდა იყოს მდგრადი, განსაკუთრებით მისი დაფინანსების მოდელის თვალსაზრისით და ასევე უნდა იყოს აშკარად არამომგებიანი. სამდივნოს უნდა შეეძლოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრების ან საკონსულტაციო წევრების მიღება.

დამატებითი დეტალები მოცემულია ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის პროცედურულ წესებში.

VIII. დასკვნითი დებულებები

VIII.1 უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების მიღება და ცვლილება

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ეს პროცედურული წესები მიღებული იქნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მინისტრთა კონფერენციაზე ტირანაში, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 29 და 30 მაისს. შემდგომში ისინი შეიძლება შეიცვალოს მინისტრების მიერ.

VIII.2 წესების დაცვა და წევრებისა და საკონსულტაციო წევრებისთვის შეტყობინება

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესები საჯაროდ ხელმისაწვდომია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ვებგვერდზე. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნო აწვდის ყველა წევრისა და საკონსულტაციო წევრის კომპეტენტურ ორგანოებს დამოწმებულ ასლს.

დანართები

დანართი 1

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრები და საკონსულტაციო წევრები

ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები, ინსტიტუტები და ორგანიზაციები მიღებული არიან წევრებად ან საკონსულტაციო წევრებად. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრობა რეგულირდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პროცედურული წესების მე-2 მუხლით.

წევრი
ქვეყანა
ალბანეთი
ანდორა
სომხეთი
ავსტრია
აზერბაიჯანი
ბელარუსი (2022 წლის 12 აპრილიდან შეჩერებული აქვს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამუშაო პროგრამაში მონაწილეობა და წარმომადგენლობა ამ სივრცის ყველა მმართველ ორგანოში)
ბელგიის ფლამანდიური საზოგადოება ბელგიის ფრანგული საზოგადოება
ბოსნია და ჰერცოგოვინა
ბულგარეთი
ხორვატია
კვიპროსი
ჩეხეთის რესპუბლიკა
დანია
ესტონეთი
ევროკომისია
ფინეთი
საფრანგეთი
საქართველო
გერმანია
საბერძნეთი
წმინდა ტახტი (კათოლიკური ეკლესია)
უნგრეთი

ისლანდია
ირლანდია
იტალია
ყაზახეთი
ლატვია
ლიხტენშტეინი
ლიეტუვა
ლუქსემბურგი
მალტა
მოლდოვა
მონტენეგრო
ნიდერლანდები
ჩრდილო მაკედონია
ნორვეგია
პოლონეთი
პორტუგალია
რუმინეთი
რუსეთის ფედერაცია (2022 წლის 12 აპრილიდან შეჩერებული აქვს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამუშაო პროგრამაში მონაწილეობა და წარმომადგენლობა ამ სივრცის ყველა მმართველ ორგანოში)
სან-მარინო
სერბეთი
სლოვაკეთის რესპუბლიკა
სლოვენია
შვედეთი
თურქეთი
გაერთიანებული სამეფო გაერთიანებული სამეფო (შოტლანდია)
უკრაინა

საკონსულტაციო წევრი
BusinessEurope
ევროპის საბჭო
Education International
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA)

ევროპის სტუდენტთა კავშირი (ESU)
ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA)
ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია (EURASHE)
გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიერ დაარსებული დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელიც ხმის უფლების გარეშე მონაწილეობს მის მუშაობაში საკონსულტაციო წევრების მსგავსი სტატუსით
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR)

დანართი 2. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორები

პარტნიორები
Association Européenne des Conservatoires, Académies de Musique et Musikhochschulen (AEC)
ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაცია (EAIE)
ევროპის პროფესიონალი და მმართველი პერსონალის საბჭო (EUROCADRES)
დოქტორანტებისა და უმცროს მკვლევართა ევროპული საბჭო (EURODOC)
EUROSCIENCE

დანართი 3. ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის სამუშაო სტრუქტურები

როგორც განსაზღვრულია ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის პროცედურული წესების მე-5 მუხლით, კონტროლის ჯგუფს შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფები და სხვა სტრუქტურები საკუთარი ამოცანების შესასრულებლად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამუშაო სტრუქტურების ყველაზე გავრცელებული ტიპები და მათი ფუნქციები. ეს არ გამორიცხავს განსხვავებული სტრუქტურების გამოყენებას და ახალი ტიპის სამუშაო სტრუქტურების შექმნას.

მიდგომა	**აღწერა**	**მაგალითი**
სამუშაო ჯგუფი	• ჩვეულებრივ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც 10 წევრზე მეტია; • ღიაა კონტროლის ჯგუფის ყველა წევრისა და კონსულტანტი წევრის მონაწილეობისთვის;	• მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი; • სოციალურ ასპექტებზე სამუშაო ჯგუფი; • ღირებულებების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი.

	• შექმნილია ძირითადი ამოცანების შესრულებისა და პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობისთვის; • ზოგიერთი ჯგუფი მუდმივმოქმედია ან საქმიანობს რამდენიმე სამუშაო ციკლის განმავლობაში.	
საკოორდინაციო ჯგუფი	• ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს საქმიანობას, ასევე იმ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას, რომლებიც არ არიან ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის წევრები.	• ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის ძირითადი ვალდებულებების განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფი (BIG) • გლობალური დიალოგის საკოორდინაციო ჯგუფი.
მრჩეველთა ჯგუფი	• თვალყურს ადევნებს კონტროლის პროცესს და/ან შეიმუშავებს დოკუმენტს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფისთვის, რათა მიაწოდოს რჩევები მინისტრებს გადაწყვეტილებების მისაღებად.	• ბელარუსის საგზაო რუკის მხარდაჭერის საკონსულტაციო ჯგუფი; • სოციალური ასპექტების საკონსულტაციო ჯგუფი; • სწავლისა და სწავლების საკონსულტაციო ჯგუფი 2018-2020 წლების სამუშაო პროგრამაში.
ოპერატიული ჯგუფი	• შექმნილია გარკვეული შეზღუდული და კონკრეტულად აღწერილი ამოცანების შესასწავლად ან შესასრულებლად; • შეზღუდული სამუშაო ხანგრძლივობა; • მისი საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტულ საკითხებზე ექსპერტიზის და სწრაფი შედეგების უზრუნველყოფის ფარგლებში.	• ცოდნის გაზიარების სამუშაო ჯგუფი; • სამუშაო ჯგუფი პროცედურული წესების გადასინჯვისთვის; • სამუშაო ჯგუფი, რომელიც ეხმარება გაწევრიანების მსურველებს და კონსულტანტ წევრებს; • 2018–2020 წლების სამუშაო პროგრამაში ფუნდამენტურ

		ღირებულებებზე სამუშაო ჯგუფი.
ახალი წევრების საგზაო რუკის მხარდაჭერის ჯგუფი	• ● შექმნილია ახალი წევრის ან საკონსულტაციო წევრის დასახმარებლად მისი წევრობის პირველი პერიოდის განმავლობაში; • ● მონაწილეები არიან ახალი წევრისა და ბოლონიის პროცესის საკონსულტაციო ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც შერჩეული არიან მათი ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების მიხედვით.	• არსებობდა საგზაო რუკის ორი ჯგუფი, ბელარუსისთვის 2015-2018 წლებში (საკონსულტაციო ჯგუფი) და სან-მარინოსთვის (სამუშაო ჯგუფი), 2021-2024 წლებში.
თემატური კოლეგიალური ჯგუფები	• შეიქმნა იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ურთიერთსწავლებას და გააძლიეროს ძირითადი ვალდებულებების შესრულება ეროვნულ დონეზე; • ჩვეულებრივ მოითხოვს წევრებისგან სამოქმედო გეგმების შექმნას ძირითადი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად; • ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების შესაძლო ჩართვა ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის დელეგატებთან ერთად.	

დანართი 4. გაწევრიანების პროცედურა და კრიტერიუმები

I. მოთხოვნები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში გაწევრიანებისთვის

განმცხადებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ შემდეგი პრინციპებისა და ამოცანების მიმართ ერთგულების დემონსტრირება:

- სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა;
- ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლები;
- აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება;
- სტუდენტების მონაწილეობა უმაღლესი განათლების მართვაში;

- საჯარო პასუხისმგებლობა უმაღლეს განათლებაზე;
- უმაღლესი განათლების სოციალური ასპექტები.

განაცხადს თან უნდა დაერთოს ანგარიში, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ქვეყნის უმაღლესი განათლების პოლიტიკა ბოლონიის პროცესის კონტექსტში და როგორ განხორციელდა და/ან განხორციელდება ბოლონიის პროცესის პრინციპები და ამოცანები. ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს:

- ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი განათლების სისტემის და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის შესახებ;
- ხარისხების სისტემა:
    - პირველი და მეორე საფეხურის განხორციელების ეტაპი;
    - მესამე საფეხურის განხორციელების ეტაპი;
    - კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევას შორის;
    - წვდომა და დაშვება მომდევნო საფეხურზე;
    - კურსდამთავრებულთა დასაქმება/დამსაქმებლებთან თანამშრომლობა;
    - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვა.
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების დანერგვა ეროვნულ დონეზე:
    - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიმოხილვა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებთან მიმართებაში და მათი დანერგვის ეროვნული მხარდაჭერა;
    - შიდა ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
    - ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ეტაპი;
    - სტუდენტების მონაწილეობის დონე;
    - საერთაშორისო მონაწილეობის დონე;
- ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება:
    - დიპლომის დანართის დანერგვის ეტაპი;
    - ლისაბონის აღიარების კონვენციის პრინციპების განხორციელება ეროვნულ დონეზე;
    - კრედიტების დაგროვების და გადაცემის სისტემის დანერგვის ეტაპი;
- უწყვეტი განათლება:
    - წინასწარი სწავლის აღიარება;
    - მოქნილი სასწავლო გზები;
- ერთობლივი ხარისხები:
    - ერთობლივი ხარისხების შემუშავება და აღიარება;

    - სტუდენტებისა და პერსონალის მობილობასთან დაკავშირებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
    - სესხებისა და გრანტების პორტაბელურობა;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა და მსოფლიოს სხვა რეგიონებთან თანამშრომლობა:
    - სტრატეგიის განხორციელება;
- მომავალი გამოწვევები:
    - უმაღლესი განათლების მთავარი გამოწვევები;
- უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება:
    - ამჟამინდელი მდგომარეობა;
    - პროგრესი უფრო ინკლუზიური უმაღლესი განათლების სისტემის შექმნაში (სამომავლო სტრატეგია);
    - ინფორმაცია ეროვნული პასუხისმგებლობის შესახებ ეროვნული სტრატეგიების მომზადებაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე.

განაცხადს ხელი უნდა მოაწეროს უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა (ეროვნულმა) მინისტრმა. განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს დადგენილ ვადაში და მას თან უნდა დაერთოს საჭირო ეროვნული ანგარიში.

განაცხადის მიღებისას, მიღების დადასტურება ეგზავნება განმცხადებელ ქვეყანას; ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეები სამდივნოს დახმარებით ამოწმებენ, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი დადგენილ პროცედურებს.

ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის (თანათავმჯდომარეების, ვიცეთავმჯდომარეების, სამდივნოს, ევროპის საბჭოს და/ან ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის გამგეობის მხარდაჭერით) აფასებს განაცხადს თანმხლებ ეროვნულ ანგარიშთან ერთად, ზემოთ აღწერილი დაშვების კრიტერიუმების საფუძველზე და თანხმდება მინისტრებისთვის სათანადო რეკომენდაციის წარდგენაზე.

II. მოთხოვნები საკონსულტაციო წევრობისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორებისთვის

საკონსულტაციო წევრობის კრიტერიუმები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ბოლონიის პროცესის დამატებული ღირებულება

ნებისმიერმა ახალმა საკონსულტაციო წევრმა ან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს პროცესის დამატებითი ღირებულება, რაც ნიშნავს, რომ მათ წვლილს უნდა ჰქონდეს ევროპული მასშტაბი და შეესაბამებოდეს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის საქმიანობას. დამატებითი ღირებულების დამატებითი კრიტერიუმები: უკვე არსებული საკონსულტაციო წევრის წვლილის

დუბლირება არ უნდა იყოს ადვილად შესაძლებელი და ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის თანამშრომლობა სხვა დონეზე უმჯობესი არ უნდა იყოს.

- დაინტერესებული მხარეების ჯგუფის შესაბამისობა

ორგანიზაციების მთავარი ინტერესი უნდა იყოს უმაღლესი განათლება. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი უნდა აღიარებდეს ბოლონიის პროცესის პრინციპებს, სამოქმედო მიმართულებებს და მიზნებს. ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ უფრო მყარ კავშირებს უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის, რელევანტურია პროცესისთვის. ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ უფრო მჭიდრო კავშირებს უმაღლეს განათლებასა და სხვა საგანმანათლებლო სფეროებს შორის, ასევე შეიძლება იყოს რელევანტური. ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალურ პროფესიებს, არ შეესაბამება ბოლონიის პროცესს, რომელიც ეხება უმაღლესი განათლების ზოგად პრინციპებსა და სტრუქტურებს.

- წარმომადგენლობითობა

ახალი საკონსულტაციო წევრი ან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორი არ უნდა იყოს ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის წევრის ან საკონსულტაციო წევრის ქვეორგანიზაცია. ახალი საკონსულტაციო წევრებისთვის წარმომადგენლობითობის დამატებითი კრიტერიუმები: ეს უნდა იყოს ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანიზაცია მისი ინტერესების სფეროში, ევროპული ორგანიზაცია ან ორგანიზაციის ევროპული ფილიალი, იმ ორგანიზაციების გარდა, რომლებიც არიან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრი ქვეყნების ორგანიზაციები და აქვთ სრული წევრის სტატუსი, ჰყავთ სრულუფლებიანი წევრები ბოლონიის პროცესის ქვეყნების არანაკლებ 50%-იდან და ჰყავთ სრულუფლებიანი წევრები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრი სახელმწიფოებიდან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები/წევრობის კანდიდატები და ევროპის ეკონომიკური ზონის წევრები.

- ორგანიზაციული ფორმა

უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაცია ან მთავრობათაშორისი ორგანიზაცია. ორგანიზაციული ფორმის დამატებითი კრიტერიუმები ახალი საკონსულტაციო წევრებისთვის: მისი მანდატი უნდა ასახავდეს მის შესაბამისობას ბოლონიის პროცესთან და მის უფლებას, რომ გამოთქვას აზრი საკუთარი წევრების სახელით ბოლონიის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ გახდნენ საკონსულტაციო წევრები ან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორები, უნდა წარადგინონ განაცხადი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სამდივნოში, სადაც დაადასტურებენ, რომ ისინი აკმაყოფილებენ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. ამის შემდეგ სამდივნო ბოლონიის პროცესის

კონტროლის ჯგუფის დღის წესრიგში შეიტანს ამ საკითხს, რომელიც, თავის მხრივ, შეაფასებს განაცხადს. გადაწყვეტილებას მიიღებს მინისტრთა კონფერენცია საკონსულტაციო წევრებისთვის და ბოლონიის პროცესის კონტროლის ჯგუფის და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის პარტნიორებისთვის.